ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1369300

ნომერი: AR1232981

თარიღი : 28.06.2014

გაცემის თარიღი : 04.07.2014

გაცნობის თარიღი : 05.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 26 , ჩოდრიშვილის N2 , (ნაკვეთი N 033/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანზორ მაჭარაშვილი პ/ნ 01020000602
- ცოტნე დადიანის 28

ორგანიზაცია:
- შპს "ორიენტირი" კოდი: 200011904

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1232981 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს მიერ ინტერაქტიულ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე, ავტოსამრეცხაოსა განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს.

აქვე გაცნობებთ, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არქიტექტურის სამსახურს არ მიაჩნია შესაძლებლად თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე, ავტოსამრეცხაოს ბოქსების განთავსება. ასევე მოგახსენებთ, რომ ვინაიდან მოცემული ტერიტორია ემიჯნება საზოგადოებრივ სარეკრეაციო სივრცეს, სკვერს და საჯარო სკოლას, საჭიროა თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება მოხდეს, მოცემული ფუნქციური ზონის შესაბამისად (რზ–2).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.